- ა) თუ რომელიმე საკითხის დარეგულირებამ მიწის კანონმდებლობაში შეიძლება დაარღვიოს სხვა მიწების ან მთლიანად საზოგადოების ინტერესები;
- ბ) თუ საკითხის ფედერალური დარეგულირება შეუძლებელია ცალკეული მიწების კანონმდებლობის მიერ;
- გ) თუ ამას მოითხოვს სამართლებრივი და ეკონომიკური ერთიანობის შენარჩუნება, კერძოდ ერთიანი ცხოვრების პირობებს არსებობა ყოველ მიწაში.

მაგრამ კანონმდებლობის და უნიტარისტული პრინციპების გატარებამ არ უნდა გამოიწვიოს ფედერა-

ალური პრინციპების იგნორირება და საკავშირო სახელმწიფოს გადაკეცვა აბსოლუტურად მთლიან სახელმწიფოდ საკონსტიტუციო სასამართლომ ერთერთ თავის გადიწვეტილებაში განაცხადა: “ფედერალური კონსტიტუცია პრინციპულად მოითხოვს მიწების კონსტიტუციური წყობის პატივისცემას. ამ სფეროში ფედერალური ხელისუფლების ჩარევა ნებდართულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ძირითადი კანონით.” ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე გადაჭრით დაგმო კონსტიტუციით დაშვებულ ზომებზე შეტად ჰეგნის უნიტარისტული მიღწევის ფართული მისწრაფებები.

კონსტიტუციის თანახმად ფედერალური სახელმწიფოს სამართლებრივი წყობა, ისევე როგორც ფედერალური სისტემა, ეყრდნობა ორ პრინციპს: ფედერაციასა და მიწებს შორის განაწილებულ და კორდინირებულ სახელმწიფოებრიობასა და კონსტიტუციური სივრცის გამოცხას.

კომპეტენციის გამოცხა არ არის თვითმიზანი. იგი ესწრაფვას არა სახელმწიფო ხელისუფლების დაწვეკრებას მისი შესუსტების მიზნით, არამედ მის გონივრულ განაწილებას, სტრუქტურირებასა და ბალანსირებას. იგი არ გამოორიებას საერთო-სახელმწიფოებრივ ერთიანობას, არამედ ახდენს მის დიდერეცხეციაციას.

კომპეტენციის გამოცხენს სტემის გერმანიაში შემდეგი სახე აქვს:

- ა) ფედერალური ხელისუფლების განსაკუთრებული კომპეტენცია;
- ბ) ფედერაციის და მიწების კონკურირებადი კომპეტენცია;
- გ) ფედერაციის მიერ კანონმდებლობის საფუძვლების მიღების კომპეტენცია;
- დ) მიწების განსაკუთრებული კომპეტენცია;
- ე) დარჩენილი კომპეტენცია.

ფედერაციის უმნიშვნელოვანეს ფუნქციის წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის წარმოება, თუმცა ამ შემთხვევაში კონსტიტუცია მოითხოვს, რომ თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ეხება რომელიმე მიწის არსებით თავისებურებებს, აუცილებელია მოცემულ მიწასთან კონსულტაციები ხელშეკრულების დადებამდე. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების პრიორიტეტს წარმოადგენს, მიწებსაც აქვთ განსაზღვრული უფლებამოსილებები ამ მიმართულებით. კერძოდ, მათ გადაცემული აქვთ უფლება უმუქლოდ დადონ ხელშეკრულებები უცხოეთის სახელმწიფოებთან მათი საკანონმდებლო კომპეტენციის ფარგლებში და ფედერალური მთავრობის ნებართვით, ამასთან მიწებს შეუძლიათ, გამოიყონ საგარეო პოლიტიკაში მონაწილეობისას არაპირდაპირი ფორმაც პარლამენტის ზედა პალატაში - ბუნდესრატში საკუთარი წარმომადგენლობის მეშვეობით.

კონსტიტუციის შესაბამისად მხოლოდ ფედერაციის კომპეტენციაში შედის კანონმდებლობა შემდეგ საკითხებზე: საგარეო ურთიერთობები, თავდაცვა, მოქალაქეობის საკითხები, გადაადგილების თავისუფლება, საპასპორტო საკმე, იმიგრაცია, პირების უცხოეთის სახელმწიფოებისადმი გადაცემა, საფინანსო რეგულირება, ფულის ემისია, ზომის და წონის ერთეულები, ფედერალური სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტი, ფოსტა და კავშირგაბმულობა, ფედერალური სახელმწიფო სამსახური, საფეტორო და საგამომცემლო საქმიანობა, სამრეწველო საქუთობების სამართლებრივი დაცვა, საბაერო რეგულირება, ფედერალური სტატისტიკა.

კონკურირებადი კომპეტენციის სფეროში მიწებს უფლება აქვთ მიიღოს საკანონმდებლო აქტები მანამდე, სანამ ფედერალური ხელისუფლება არ გამოაუცხმებს თავის საკანონმდებლო უფლებამოსილებებს მოცემულ სფეროში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროს გამოიციტულია ფედერაციის და მიწების "ერთობლივი განმკებლობა". ამასთან ფედერაცია არეგულირებს ამ სფეროს მაშინ, თუ არსებობს კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობები, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი.

კონკურირებადი კანონმდებლობის კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება შემდეგი საკითხები: სამოქალაქო და სისხლის სამართალი, პრაქციულიური სამართალი, განაჩენის აღსრულება, ადვოკატურა, ნოტარიუსის იურიდიული კონსულტაცია, გაერთიანებების და შეკრებების კონსტიტუციური უფლება, არაილზე და ასაფეთქებელ ნიუთიერებებზე სამართლებრივი ნორმები, ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა საქმე, სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა, მიწების მოქალაქეობის საკითხები, ომის შედეგების დარეგულირება, სამეურნეო სამართალი, შრომის სამართალი, საზოგადოებრივი მეურნეობების დარეგულირება, ანტიმონოპოლური კანონმდებლობა, ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება, სოფლის და სატყუო მეურნეობების ზღუდეწყობა, პროდუქტების ექსპორტი და იმპორტი, თევზჭერა და სანაპირო დაცვა, მიწის სამართალი, ებიდმების და ეპიზოოტების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, საზღვაო და საკაპოტავო მიმოსვლა, საგზაო მოძრაობა, ავტოინსპექცია, მკენარეთა დაცვა, ნარჩენების გატანა, საჰაერო სფეროს დაცვა დამინაშურებისაგან და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფედერაცია მკვიამალურად იყენებს თავის უფლებებს - დარეგულიროს კონკურირებადი კანონმდებლობის სფეროში შემაჯალი საკითხები.

ფედერაცია უფლებამოსილია, მიიღოს კანონმდებლობის საფუძვლები შემდეგ საკითხებზე: მიწების კომუნების და საგარო სამართლის სხვა კორპორაციების სამსახურში მყოფ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, ზოგადი პრინციპები უმაღლესი გა-

ნათლების სფეროში, ბეჭდვისა და კინოს ზოგადი სამართლებრივი მდგომარეობა, სამონადირეო საქმე, ბუნების დაცვა, წყლით მოპარაგება, ამ შემთხვევებში მიწებს გადაცემული აქვთ კანონმდებლობის საფუძვლების კონკრეტაციის უფლება.

ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილებების გარდა, ფედერაციის კომპეტენციის სფერო ფართოვდება ე.წ. "შეფენილი კომპეტენციის ხარჯზე". საქმე ებება ისეთი ურთიერთობების რეგულირებას, რომელიც თუმცა არ შედის კონკურირებადი კომპეტენციის სფეროში, მაგრამ უშუალოდ არის დამოკიდებული ანეთი საბის ურთიერთობებთან. მაგ: თუ ფედერალური კანონმდებლობა ურეგულირებს სარკინიგზო ტრანსპორტის ორგანიზაციასა და რეგულირებაზე, ფედერალურ ხელისუფლებას შეუძლია, თავისი კომპეტენცია გააფრცილოს აგრეთვე სარკინიგზო პოლიციის საქმიანობაზეც, თუმცა საერთოდ პოლიცია მიწის კომპეტენციის განეკუთვნება.

ყველაფერი, რაც არ მიეკუთვნება ფედერაციის განსაკუთრებულ კომპეტენციას, კონკურირებად კანონმდებლობას ან ე.წ. კანონმდებლობის საფუძვლებს, შედის მიწების კომპეტენციაში. კონსტიტუციის 30-ე მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებების განხორციელება და სახელმწიფოებრივი ანოცანების გადაქრა არის მიწების საქმე, თუ ძალითადი კანონი არ ადგენს ან არ უწყებს სხვაფარ რეგულირებას, ხოლო კონსტიტუციის 70-ე მუხლი მიწებს ანიჭებს კანონმდებლობის უფლებას ყველა იმ საკითხზე, რომელიც ფედერაციის კომპეტენციას არ მიეკუთვნება. მიწების გამგებლობაშია: მიწების კონსტიტუციური კანონმდებლობა და აღმინისტრაციული მოწყობა, კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სკოლა, კულტურა, მსობრივი ინფრასტრუქტურის საშუალებები, მთ შორის პრესა და კინემატოგრაფია, რადგანაც ფედერალური კანონმდებლობის საფუძვლები ამ სფეროში მიღებული არ არის და ა.შ.

თუ შევადარებთ რაოდენობრივი თვალსაზრისით ფედერალურ და მიწების კანონმდებლობას, აღმოჩნდება, რომ მიწების წილზე მოდის გერმანიაში მოქმედი ყველა კანონების მხოლოდ ერთი მეათედი. გამოდის რა საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთგვაროვანი რეგულირების ინტერესებიდან, ფედერაციის მნიშვნელობა ამ სფეროში აშკარაა.

განსხვავებული სურათია მმართველობის სფეროში. აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება და მართვა უპირატესად მიწების კომპეტენციის განეკუთვნება. ასე რომ, გერმანიაში სახეზეა ფედერაციისა და მიწების შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების განსხვავებული დოზირებები. ამასთან მიწები აღასრულებენ არა მარტო საკუთარ, არამედ ფედერალურ კანონებსაც. კონსტიტუციის 83-ე მუხლი ადგენს ამ სფეროში მიწების კომპეტენციის ზოგად პრეტუმპციას: „მიწები აღასრულებენ ფედერ-

აღუქრ კანონებს როგორც თავის საკუთარს, თუ სხვა რამეს არ ადგენს ან არ უწყობს ძირითადი კანონი, მმართველობის სფეროში კომპეტენციების გამიჯვნის ოთხი სახესხვაობა არსებობს:

ა) მიწების მიერ საკუთარი კანონების აღსრულება; ამ მხრივ მიწებს გააჩნიათ განსაკუთრებული კომპეტენცია, ე.ი. ფედერალური ორგანოები არ შეიძლება იყვნენ კომპეტენტურნი მიწების კანონმდებლობის აღსრულებაში. მათი კანონების აღსრულება ფედერალური დაწესებულებების მეშვეობით გამოირიცხეთ. ამასთან უკანასკნელ ხანებში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე დაშვებულია ამ სფეროში ფედერაციის და მიწების თანამშრომლობა.

ბ) მიწების მიერ ფედერალური კანონების, როგორც საკუთარს აღსრულება. მიწები ოდითონ წვეტიან უწყებებს შექმნის, მმართველობის პროცედურის დადგენის საკითხს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ბუნდესრატის მიერ მოწოდებული კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ დროს ფედერაციას აქვს უფლება განახორციელოს ზოგადი ადმინისტრაციული ზედამხედველობა. ბუნდესრატი არის ის ორგანო, რომელიც ადგენს დარღვეულია თუ არა ფედერალური კანონი მაქის მიერ. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოში;

გ) მიწების მიერ ფედერალური კანონის აღსრულება ფედერაციის დაფლებით, რომლის დროსაც ადგილი აქვს ფედერაციის ინტენსიურ ჩარევას, რაც კერძოდ გამოხატება აღსრულების მიზანშეწონილობაზე ფედერაციის ზედამხედველობის გავრცელებაში და მითითებების მიცემის უფლებაში;

დ) ფედერაციის მიერ საკუთარი კანონების აღსრულება ფედერალური მართავის მხრივ. ადგილს მიეკუთვნება — დიპლომატიური სამსახური, საბაჟო კონტროლი, სასაზღვრო დაცვა, შეიარაღებული ძალები, ფოსტა, ფედერალური სარკინიგზო და საზღვრო ტრანსპორტი, ფედერალური ბანკი, შრომითი ურთიერთობები, სოციალური სფეროს რიგი ასპექტები.

მიწების მმართველობითი კომპეტენციები კი უფრო მეტ სფეროებზე ვრცელდება — ყველა სახის გახაილების სფეროში მმართველობა, სერო მმართველობა მიწის ტერიტორიაზე, ფინანსების, ეკონომიკის და სოციალური სფეროს დიდი ნაწილია მართავ, პოლიცია, იუსტიციის ორგანოები და ფაქტიურად ყველა ის ურთიერთობები, რომლებიც უნდა დარეგულირდეს ადმინისტრაციული სამართალით და რომელიც ფედერაციის გამგებლობას არ განეკუთვნება.

მართლმსაჯულება ზორციელდება უპირველეს ყოვლისა მიწების სასამართლოების მიერ. ფედერაცია ქმნის მხოლოდ ხუთი უმადლესი ინსტანციის სასამართლო — ფედერალური უმადლესი სასამართლო, ფედერალური შრომით დაცვების სასამართლო, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო და ფედ-

ერალური საფინანსო სასამართლო. ცალკე ადგილი უკავია ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ფედერაციული სისტემის არბიტრს წარმოადგენს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მიწების სასამართლოები უმეტესობას წარმოადგენენ, იუსტიცია ძირითადად ზორციელდება ფედერაციის მატერიალური და პროცესუალური სასამართლის საფუძველზე.

გამიჯნულია ფედერაციისა და მიწების უფლებამოსილებები ფინანსების სფეროშიც, ისინი განცალკევებულად იღებენ ხარჯებს თავიანთი ამოცანების შესრულებისათვის. ამასთან თუ მიწა მოქმედებს ფედერაციის დაფლებით, ხარჯებს იღებს ფედერალური ბელისუფლება. კონსტიტუციის 106.1 მუხლის თანახმად ფედერაციას მიეკუთვნება შემოსავლები საფინანსო მონოპოლიისა და შემდეგი გადასახადები: სგან — საბაჟო გადასახადები, სატვირთო ავტომობილებზე გადასახადი, კაპიტალბრუნვის გადასახადი, გადასახადი გაცვლითი ოპერაციებისგან, სადაზღვევო გადასახადი, სამშენსაგებო და კორპორაციებისაგან გადასახადის დამატებითი მოსაკრებლები; ხოლო მის შემს კი — საკუთრების გადასახადი, სამემკვიდრეო გადასახადი, გადასახადი ავტომობილებზე, სატრანსპორტო გადასახადები, ლუდის გადასახადი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი. ზოგიერთი გადასახადი ნაწილდება ფედერაციისა და მიწებს შორის. ამასთან, გერმანიაში მოქმედებს პრინციპი, რომ მიწების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფონზე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საერთო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური წონასწორობა — ფედერაცია უზრუნველყოფს სამეურნეო ერთიანობას სამართლებრივი რეგულირების მეშვეობით, ყველა სახელმწიფო და კომუნალური ბიუჯეტი ზორციელდება ერთიანი სახელმწიფოებრიობის და მეურნეობის ფარგლებში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური ზორციები კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ ქმნიან სამართლებრივ გეგმას — სახელმწიფო ბელისუფლების რაციონალურ-სამართლებრივ განაწილებას და მის წონასწორობას. მაგრამ ეს მხოლოდ გეგმა და პრაქტიკა მას ყოველთვის არ ემთხვევა. სახელმწიფო ბელისუფლების რეალური განაწილება დამოკიდებულია იმაზე, გააჩნიათ თუ არა, და თუ გააჩნიათ, რა ზომით ფედერაციასა და მიწებს ნება და შესაძლებლობა ფაქტიურად განახორციელონ საკუთარი კომპეტენციები და სრულად შეასრულონ კონსტიტუციის მიერ მათ წინაშე დასმული ამოცანები.

კონსტიტუციის განსაზღვრებებთან დაკავშირებული მოლოდინი ფედერალური პრაქტიკის ყველა მიმართულებით არ გამართლებულია ნაგალობად. მიწები არ იყყყენ იმედაც მწირ საკანონმდებლო უფლებამოსილებებს, მაგრამ აქტიურად ჩაებნენ საგარეო ურთიერთობებში აქტიურად გამოდინარე, კომპეტენციის გამიჯვნის ფედერალური წესრიგი კარგავს თავის კონტურებს.

შეუხებლად იმისა, რომ გერმანიის კონსტიტუცია პრინციპიალურად მიზნავს კომპეტენციებს მიწებს და ფედერაციის შორის, გერმანია, როგორც თანამედროვე მაღალ განვითარებულ საზოგადოებაში აუცილებელი ხდება კოოპერაცია ხელისუფლების ამ ორ რგოლს შორის, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი შეიძლება გახდეს სახელმწიფოებრივი ამოცანების განსორცხვლა. ფედერაციის და მიწების უფლებამოსილებები ხშირ შემთხვევაში ისეა გადაჯაჭვული, რომ ხშირ შემთხვევაში რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხდება ურთიერთშეთანხმება, კოორდინირებული მოქმედებების აუცილებლობა განპირობებულია აგრეთვე სამართლებრივი ერთგვარობების და ყველა მიწაში ერთნაირი მდგომარეობის მიღწევის აუცილებლობით.

კოორდინაციის ფორმები სხვადასხვაგვარია დაწყებული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის უბრალო თანხირობიდან მიწების პრევიტ-მინისტრების კონფერენციებით დამთავრებული. შექმნილია შრავალი სახის საკოორდინაციო საბჭოები. ზოგჯერ იქმნება საკოორდინაციო ცენტრებიც, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ დირექტიული გადაწყვეტილებები.

ცენტრის და მიწების კოოპერაციის გაძლიერების მიზნით კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ახალი თავი ფედერაციის და მიწების "საერთო ამოცანები," რომლის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ ფედერალური ხელისუფლება მონაწილეობს მიწების მიერ მათი ამოცანების შესრულებაში, თუ ამ ამოცანებს მნიშვნელობა აქვთ მთელი საზოგადოებისთვის და თუ ფედერაციის მონაწილეობა გააუმჯობესებს პირობებს. კონკრეტულად კი ფედერაცია მონაწილეობს რეგიონალური ეკონომიკური სტრუქტურის და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესებაში, ახალი უმაღლესი დაწესებულებების მშენებლობაში. ამ დროს ფედერაცია ახალბურთებს ხარჯების არანაკლებ ნახევარს. ამასთან, ფედერალურ ხელისუფლებას და მიწებს შეუძლიათ დაიღონ შეთანხმებები განათლების დაგეგმვისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამოცდევების მხარდაჭერის შესახებ.

მიწებს შორის კოოპერაციის აუცილებლობა უმეტესწილად მიპართულება იქითკენ, რომ შემუშავებულ იქნეს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება ყველასათვის ერთნაირი მოდელი. ამასთან აღსანიშნავია, რომ კოოპერაცია არ ამოიწურება ფედერაციასა და მიწებს შორის თანამშრომლობით. მასში ჩართული არიან თვითმმართველობის ორგანოებიც.

კოორდინაცია ხასიათდება მასში მონაწილე სუბიექტების თანასწორი მდგომარეობით. კოოპერაცია ფედერალურ სისტემას ანიჭებს მოქნილობას და უზრუნველყოფს ინტერესების სწორ ბალანსს. იგი შესაძლებლობას აძლევს ფედერალურ ხელისუფლებას და მიწებს იმსჯელონ და მიიღონ შეთანხმებებს საერთო ინტერესების მქონე პრობლემების ირგვლივ. ხელისუფლების სხვადასხვა ცენტრებს შორის კოოპ-

ერაცია უსახელო არ არის. ხელისუფლების სხვა ცენტრისათვის უფლებამოსილებების გადაცემა და ხელისუფლების და მმართველობის საკოორდინაციო ორგანოს შექმნა დასაშვებია იმდენად, რომღენდაც ეს არ ხელყოფს კონსტიტუციური წესების საფუძვლებს.

და ბოლოს, გერმანიაში ფედერალური ხელისუფლების და მიწების ურთიერთობას აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მთავრობა, რომელიც ფედერალურ ხელისუფლებას აძლევს ინტერვენციის შესაძლებლობას. ეს ხდება იმ შემთხვევაში თუ ფედერაციის სუბიექტთა ხელისუფლებას რაიმე მიზეზების გამო არ შეუძლია ნორმალური ფუნქციონირება. კონსტიტუციის 37 მუხლის თანახმად:

I. თუ მიწა არ ასრულებს მასზე ბირობადი კანონით ან სხვა ფედერალური კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს, მაშინ ფედერალურ მთავრობას შეუძლია ბუნდესრატის თანხმობით მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა ფედერალური იძულების გზით უზრუნველყოს მიწის მიერ მისი მოვალეობის შესრულება.

II. ფედერალური იძულების განხორციელებისთვის ფედერალურ მთავრობას ან მის წარმომადგენელს შეუძლია მისცეს მითითებები ყველა მიწას და ხელისუფლებებს.

ამ შემთხვევაში კონსტიტუციის განმმართველთა აზრით, იგულისხმება ისეთი დარღვევები როგორცაა, მიწის მიერ ფედერალური გადასახადების მოგროვების არ უზრუნველყოფა, ფედერალური გზების დაგეგმვა და მშენებლობაში მონაწილეობის მიღებაზე უარი, ბუნსლესრატის მუშაობაში მონაწილეობის შეწყვეტა. ფედერალურ იძულებაში ამ დროს გამოიყენება ისეთი ზომები, როგორცაა თესანსური ზეწოლა, შესაძლებელია აგრეთვე მიწის მთავრობის გადაცემა, ლანდტაგის დაშლა, ფედერალური კომისიის დანიშვნა, მაგრამ გამორიცხულია ფედერალური შეიარაღებული ძალების მონაწილეობა.

კონსტიტუციის 28-ე მუხლით კომუნებს და მათ გარეთიანებებს გარანტირებული აქვთ თვითმმართველობის უფლება. კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობებს განიხილავს როგორც ავტონომიურ ინსტიტუტებს, რომლებიც ეფუძნებიან წარმომადგენლობით საწყისებს. კომუნების კომპეტენციაში შედის ადგილობრივი ხასიათის ამოცანების გადაწყვეტა. შეიძლება ითქვას, რომ კომუნალური მართვის ორგანოთა კომპეტენცია არის "დაჩვენალი თავისუფალი სივრცე, რომელიც კანონით სხვა სახელმწიფო ორგანოებს არ აქვთ მიკუთვნებული" ადგილობრივ თვითმმართველობებთან მისართებაში გერმანიაში მოქმედებს 3 ფუნდამენტური დოქტრინალური პრინციპი:

- თვითადმინისტრირება ეი უფლება დამოუკიდებლად ფედერაციის და მიწის ორგანოებისაგან ყოველგვარი მითითებების გარეშე განხორციელონ თავიანთი ფუნქციები და განკარგონ თავიანთი სამსახურები იმ

პირობით, რომ ეს არ არღვევს არც ფედერაციის და არც მიწის კანონმდებლობას;

— საერთო უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც კომუნის საქმიანობის სფერო ვრცელდება მის ტერიტორიაზე არსებულ მთელ საზოგადოებრივ მოდერნიზაციაზე, იმის გამოკლებით, რაც სხვა სახელმწიფო ორგანოთა განმგებლობას გახეულებება;

— ნორმატიული ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლება

გერმანული კონსტიტუციური სამართლით ადგილობრივი მმართველობის ამოცანები იყოფა სამ ჯგუფად — ნებაყოფლობითი, სავალდებულო და დავალბული. აქედან პირველი ორი კომუნის საკუთარი უფლებამოსილებების სფეროს განხეულებება. ნებაყოფლობითი ამოცანების რიცხი მიეკუთვნება მუნიციპალიტეტების ის უფლებამოსილებები, რომლებსაც იგი წვეტს საკუთარი შეზღუდულობისამებრ, მაგალითად — სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების შექმნა, სავალდებულოს კი მიეკუთვნება ის უფლებამოსილებები, რომლებიც კომუნამ უნდა შესრულოს მიწის კანონმდებლობის შესაბამისად — სანიტარული ზედამხედველობა, სახანძრო დაცვა.

დავალბული ამოცანები არ წარმოადგენენ კომუნალურ საქმეებს და ქმნიან დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროს. ამ შემთხვევაში ისინი მოქმედებენ როგორც მმართველობის ორგანოები, რომლებიც ჩართულნი არიან საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებაში. ასე მაგალითად, პესენის კონსტიტუციის 1374 მუხლის თანახმად "კომუნებს და მათ გავრთიანებებს, აგრეთვე მათ მმართველობის ორგანოებს კანონით ან დადგენილებით შეაძლება დაეკარაოთ სახელმწიფო ამოცანების შესრულება, რომლებსაც ისინი წვეტენ მითითებების შესაბამისად."

ადგილობრივ ორგანოთა კომპეტენციას განეუთვნება:

ა) გეგმარების სფეროში გენერალური დაგეგმვა, ქალაქის დაგეგმვა, საბინაო გეგმარება, საფინანსო დაგეგმვა;

ბ) სოციალურ-კულტურულ და მისახლეობის მომსახურების სფეროში საბავშვო ბაღები, სკოლები, რეალური და პროფესიული სასწავლებლები, მიბლიოთეკები, გათბობა, გზების მართვა, ნაგვის და მარონების გატანა, ჯანდაცვა, ოჯახური კეთილდღეობა, თავისუფალი დროის ორგანიზება, თეატრები, პარკები, რეკრეაციის ზონების შექმნა, სპორტული მოედნების და ღონისძიებების ორგანიზება, ტურიზმი, ბინათმშენებლობა, წყლსაცავები, წყლის რესურსები, წყლითმომარაგება და კანალიზაცია, ადგილობრივი ტრანსპორტი.

გ) საკონტრალო საქმიანობის სფეროში: ლიცენზიების გაცემა, საგზაო კონტროლი, უშიშროება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ადგილობრივი პოლიცია, პერის დაბინძურების კონტროლი, კონტროლი კვების პროდუქტების ვარგისიანობაზე, სახანძრო რაზმები, ვეტერინარული სამსახური, რეგის-

ტრაციის სამსახური.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის კონტროლი არის მთლიანად მიწის კომპეტენცია და მასში ფედერალური ორგანოები არ მონაწილეობენ კონტროლის ძირითად ნაწილს ანხორციელებენ სასამართლოები, რადგანაც გერმანიაში საერთოდ გამართულად მუშაობს ადმინისტრაციაზე სასამართლო კონტროლის მექანიზმი. კომუნებზე მიწის მთავრობის უშუალო კონტროლს ახორციელებს ოლქის ადმინისტრატორი, რომელიც თავლურს ადვენებს და კოორდინაციას უწევს კომუნის მოქმედებებს იგი აკონტროლებს ფუნქციონირებენ თუ არა სავალდებულო სამსახურები კომუნებში და არღვევს თუ არა კანონს კომუნის ორგანოთა მოქმედებები თუ აღნიშნული ორი პუნქტი არ სრულდება, ოლქის ადმინისტრაცია მიუთითებს ამის შესახებ და აფრთხილებს იმ ზომების შესახებ, რომლებიც იქნება მიღებული. ყველაზე რადიკალურ ღონისძიებად ითვლება მთელი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების გადაცემა ოლქის ადმინისტრაციისადმი. ზოგ მიწაში შესაძლებელია აგრეთვე მიწის მთავრობის მიერ კომუნის წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვნა.

იმისთვის რომ კომუნებმა შეძლონ თავიანთი ამოცანების შესრულება მნიშვნელოვანი საფინანსო ბაზა სჭირდებათ. გერმანიაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ვარაზტირებული აქვთ საფინანსო სუვერენიტეტი. ყოველ მათგანს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან. კერძოდ, ადგილობრივ კომუნებს რჩებათ გადასახადის 15%, კომუნების განკარგულებაში რჩება აგრეთვე ბინენსის გადასახადის 60% და მიწის გადასახადი მთლიანად. ამასთან დაწესებულია 14 სხვადასხვა სახის ადგილობრივი გადასახადი და აქციზიური მოსაკრებელი — გადასახადი განსაკუთრებული სახის საკუთრებაზე, საქონელზე და საქმიანობაზე. კერძოდ, გადასახადები სპორტიან სასწავლებლებზე და ფუფუნების საგნებზე, გადასახადი ნადირობასა და თევზჭერაზე, გადასახადი ძაღლებზე, გადასახადი ვართობაზე, გადასახადი მეორე სახლზე, ლიცენზიები ლუდბანების და მსგავსი დაწესებულებების განსახე მუნიციპალიტეტების ხელისუფლი საერთო ხარჯებში შეადგენს 30%-ს, მიწებისა - 25%-ს, ხოლო ცენტრალური ხელისუფლებისა - 45%-ს.

ფედერალურ, შტატების და ალგილობრივ ორგანოებს შორის უფლებამოსილებების განაწილება აშშ-ში

აშშ თანამედროვე ფედერალური სისტემის სამშობლოა. ყველაში ხელისუფლებებს შორის ბალანსის საფუძველია 1787 წელს მიღებული კონსტიტუცია.

ფედერალური ხელისუფლება სიძი ნაწილისაგან შედგება - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. საკანონმდებლო ხელისუფლებას ანხორციელებს კონგრესი, რომელიც ორი პალატისაგან შედგება - წარმომადგენელთა პალატა და სენატი, რომლებიც აირჩევა პირდაპირი არჩევნების საფუძველზე შტატების მოსახლეობის მიერ. აღმასრულებელ ხელისუფლებას ასორციელებს პრეზიდენტი, ხოლო ფედერალურ სასამართლო ხელისუფლებას - უზენაესი სასამართლო.

აშშ-ში შტატისაგან შედგება. შტატები თვითონ განსახდებენ თუ როგორც უნდა იქნეს მათში ხელისუფლება ორგანიზებული - ყოველ მათგანს აქვს საკუთარი კონსტიტუცია. ამასთან ყოველი მათგანის მმართველობის ფორმა და უმაღლესი ორგანოთა სტრუქტურა თითქმის ზუსტად იგივეა როგორც თვითონ ფედერალური ორგანიზებისა. კერძოდ, ყველა შტატში არსებობს ორი პალატისანი პარლამენტი, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ნებრასკის შტატი, აღმასრულებელ ხელისუფლებას ანხორციელებს ხალხის მიერ პირდაპირ არჩეული გუბერნატორი, რომლის სტატუსიც მსგავსია ფედერალური პრეზიდენტის სტატუსისა. შტატების აღმასრულებელი ხელისუფლება, ფედერაციის მიგავსად, არ ატარებს პასუხისმგებლობას საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე. შტატის სასამართლოები წყვეტენ საკითხს, შეესაბამება თუ არა ესა თუ ის კანონი კონსტიტუციას.

ადგილობრივი ორგანიზები განსხვავდებიან თავიანთი ფორმებით და კომპეტენციის მოცულობით, იმის მიხედვით თუ რომელ შტატს მიეკუთვნებიან, რადგანაც სწორედ განსაზღვრავენ მათ სტატუსს და უფლებამოსილებებს. დღესდღეობით აშშ-ში 78.000-ზე მეტი ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულია, რადგანაც ადგილობრივ ორგანოთა რამოდენიმე დანე არსებობს, ხშირად ერთი და იგივე მოქალაქეს საქმე აქვს სამ განსხვავებულ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან. შტატების ადგილობრივ ორგანოთა სტრუქტურა, როგორც წესი ასეთია:

- ა) საგრაფოები, რომლებიც ყველაზე მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ.
- ბ) რაიონები - ისინი საგრაფოების ქვედახეობებს წარმოადგენენ და შექმნილი არიან რათა უკეთესად იქნეს საგრაფოების სამსახურების ორგანიზება ადგილებზე
- გ) მუნიციპალიტეტები, რომლებიც იქნებიან სოფლებში, დაბებში და ქალაქებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად რგოლს წარმოადგენენ.
- დ) სასკოლო და სპეციალური ოკრუგები, რომელთა შექმნის მიზანია სასკოლო საქმის ორგანიზება და სპეციალური მომსახურების გაწევა მოსახლეობაში - კერძოდ, კანალიზაცია, წყლით მომარაგება, სახიტიარია და ა.შ.

ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს არჩეული საბჭო, ხოლო რაც შეეხება მმართველობის ფორმას, აშშ-ში გავრცელებულია შედეგი ფორმები - "მერი - საბჭო" სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ანხორციელებს საბჭოს ან უშუალოდ მოსახლეობის მიერ არჩეული მერი; "საბჭო - მენეჯერი" - მუნიციპალიტეტის საქმეთა სამართავად საბჭო ქარობს პროფესიონალ მენეჯერს; კომისია - ხელისუფლებით უფლებამოსილებებს ანხორციელებს რამოდენიმე კომისიარი, რომელიც უშუალოდ მოსახლეობა ირჩევს; და ბოლოს ნოტლექისა კრება, რომელიც პირდაპირ დემოკრატიის ფორმას წარმოადგენს.

ამერიკის ფედერალური სისტემის საფუძველია კომპეტენციის მკვირი გამოჩენა ფედერალურ ორგანოებსა და შტატებს შორის.

კონსტიტუცია კომპეტენციის გამოჩენისას ჩამოვალის იმ უფლებებს, რომლებიც ფედერაციის კომპეტენციას განუკუთვნება, უკმადაც შტატებს გარკვეული მოქმედებების განხორციელებას და ასახვლებს იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც შტატებს გარანტირებული აქვთ ფედერალურ სისტემასთან მიმართებაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ კომპეტენციის გამოჩენის შესახებ კონსტიტუცია იძლევა მჭიდროდ ორგანიზაციის და კონფლიქტურ დებულებებს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებებზე სავსებით არაფერს ამბობს. სწორედ კონსტიტუციის დებულებების ასეთმა მოქნილობამ, რომელიც სხვადასხვახარისხიანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, განაპირობა კიდევ, რომ იგი დღემდე მოქმედებს და კონსტიტუციური სასამართლის მთავარ და ცნობილ მოქმედ წარმომადგენს, შედისონი წერდი, რომ კონსტიტუცია ქმნის დიდ საერთო ინტერესებს, რომელიც ეროვნულ მთავრობას განუკუთვნება და შტატების ხელისუფლებას მიკუთვნებული ადგილობრივი სპეციფიკური ინტერესების იღბლიან კომბინაციას.

კონსტიტუცია ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას ძირითადად განსაზღვრავს, როგორც კონგრესის საკანონმდებლო და სხვა სახის უფლებამოსილებებსა და მხოლოდ ნაწილობრივ, როგორც პრეზიდენტის და ფედერალური სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებებს. კერძოდ ეს უფლებამოსილებები ფორმულირებულია კონსტიტუციის პირველი მუხლის VIII კარში, რომლის თანახმადაც კონგრესის უფლებებია:

- 1) დაადგინოს და აკრიფოს გადასახადები, ბაჟი, აქციზები, რათა გადაიხადოს შერთებულ შტატების ვალი, უზრუნველყოს ერთობლივი თავდაცვა და საყოველთაო კეთილდღეობა, ამასთანავე ყველა ასაკოვანი ბაჟი და აქციზი ერთნაირი უნდა იყოს შერთებულ შტატებში;
- 2) კრედიტში აიღოს ფულადი სესხი;
- 3) არეგულიროს ვაჭრობა უცხო სახელმწიფოებთან, ცალკეულ შტატებს შორის და ინდიელ ტომებთან;

4) დაადგინოს ნატურალიზაციის ერთნაირი წესები და მიიღოს ერთგვაროვანი კანონები გაცოტრების შესახებ;

5) მიიქრას ფული, არეგულიროს მისი და უცხოური ფულის ღირებულება, დაადასტოს ზომიწონის ერთეულები;

6) ყალბი ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და ბრუნვაში მყოფი ყალბი ფულის მოჭრისათვის გაითვალისწინოს დასჯის ზომები;

7) შექმნას საფოსტო საშესაფრი და საფოსტო გზები;

8) ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და სარეგულაციის მომტანი ხელოვნების განვითარებას, ამისათვის გარკვეული ვადით მიანიჭოს ავტორებსა და გამომგონებლებს განსაკუთრებული უფლებები თავიანთ ნაშრომებზე და აღმოჩენებზე;

9) დააწესოს უმადლეო სასამართლოსადმი დაჯევლებარებული სასამართლოები;

10) განსაზღვროს თუ რა ჩაითვლება მეკობრეობად, ღია ზღვაში ჩადენილ მძიმე დახამებულად, ყრების უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად და განსაზღვროს სასჯელები მათი ჩადენისათვის;

11) გამოაცხადოს ომი, გასცეს მოწოდებები კაპრობაზე და რეპრესალებზე, დაადგინოს წესები ხმელეთსა და ზღვაში ნადავლის ხელში ჩაგდების შესახებ;

12) ჩამოაფლიბოს და უზრუნველყოფს წარი;

13) შექმნას და უზრუნველყოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი;

14) გამოსცეს სახმელეთო და საზღვაო ძალების ორგანიზაციისა და მართვის წესები;

15) მოიწვიოს მილიცია კავშირის კანონების ცხოვრებაში გატარების, ამბოხებების ჩაქრობისა და თავდასხმების მოგერიებისათვის;

16) გაითვალისწინოს ღონისძიებანი მილიციის იმ ნაწილის ორგანიზების, შეიარაღების, სწავლებისა და ხელმძღვანელობისათვის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შეერთებული შტატების სამსახურისათვის;

17) განახორციელოს განსაკუთრებული საკანონმდებლო უფლებამოსილებანი იმ ოკრუგში, რომელიც ცალკეული შტატის დათმობისა და კონგრესის მოწოდების შემდეგ, გახდება შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელი, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებები ამით არ ამოწურება კონსტიტუციის X შესწორების მიხედვით, უფლებამოსილებები, რომლებიც ამ კონსტიტუციით არ არის დედეგირებული შეერთებული შტატებისათვის და რომელიც სარეგულაციო არ ეკრძალება ცალკეულ შტატებს. შესაბამისად უნარუნდება შტატებს ან ხალხს, ლიტერატურაში ეს განმარტებულია, როგორც შტატების კომპეტენციის პრეზუმცია. ერთი მხრივ ეს, რათქმაუნდა, ასეც არის, მაგრამ სიტყვა

“ან ხალხს” არ იძლევა მხოლოდ ასეთი ცალმხრივი განმარტების საშუალებას, რადგან ხალხში მთელი ამერიკის მოსახლეობა იგულისხმება. ფედერალური ხელისუფლების კომპეტენციის ფართო გაგების მეორე წყაროს წარმოადგენს შემოთხსენებული II მუხლის მეფრამეტე პუნქტი, რომლის თანახმადაც კონგრესი უფლებამოსილია გამოსცეს ნებისმიერი კანონი, რომელიც აუცილებელი და მართებული იქნება, ამ კონსტიტუციით შეერთებული შტატების მთავრობის, დებარტამენტის ან თინამდებობის პირებისათვის მინიჭებული შემოთხმთვლილი სხვა უფლებების განახორციელებლად, აღნიშნულმა პუნქტმა და ამ პუნქტის უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებამ წარმოიშვა ეწ. “ნაგულისხმეო უფლებამოსილებების” (იმპლიედ პოვერს) დოქტრინა დოქტრინის თანახმად, ჩამოთვლილი უფლებების გარდა ცენტრალური ხელისუფლება ფლობს სხვა უფლებამოსილებებსაც, რომლებიც მართლაც არის აღნიშნულ კანონში, მაგრამ მათგან გამოდინარეობენ ამ დოქტრინის შეაბამისად, ფედერალური სისტემა გაგებულია როგორც მთლიანად და განუწყვეტლივ ფორმირებადი პროცესი, რომელიც იცვლება დროის მოთხოვნების შესაბამისად.

შტატები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ აშშ-ს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი უფლებები პირდაპირ არ არის განსაზღვრული კონსტიტუციით, რადგანაც მის შესაბამისად უფლებები, რომლებაც გადაცემული არ აქვს ფედერალურ ხელისუფლებას შტატებს რჩებათ. კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში გაბზეულია შტატების მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც მათ გარანტირებული აქვთ, ყრძოდ – არ შეიძლება შტატების სტატუსის შეცვლა მათი თანხმობის გარეშე, კონსტიტუციის შეწორება ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შტატებს არანაკლებ 3/4 დეუთანხმება მათ; გარანტირებულია მათი დაცვა ფედერალური ხელისუფლები მიერ, თუ მათ არსებობას საფრთხე დაემუქრება; შტატები მონაწილეობას იღებენ კონგრესის და პარლამენტის არჩევნებში.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილია ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც შტატებს ეკრძალებათ. ყრძოდ, არც ერთ შტატს არა აქვს უფლება დადოს რაიმე ხელშეკრულება, შევიდეს კავშირში ან კონფედერაციაში, გასცეს საკაპროები, ბიდეები, დაბეგროს რაიმე ბიდეო ან გამოსადებით საჭონისა შემოტანს ან გატანა კონგრესის თანხმობის გარეშე, დააწესოს სატრანაეო გამოსალები, შეინახოს წარი მშვიდობიანობის პერიოდში ან იყოლიოს სამხედრო ღონაღლები, აწარმოოს ომი გარდა გადაუღებელი შემთხვევისა.

ფედერაციისა და შტატებს შორის უფლებამოსილებების რეალური გამიგვნა არ განისაზღვრება მხოლოდ კონსტიტუციით. კონგრესი, ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლება და უზენაესი სასა-

მართლობები ყოველთვის იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფედერალურ და შტატების ადმინისტრაციებს შორის ხელისუფლების ბალანსზე ამასთან თუ როგორია ფედერალური სისტემის რეალური ხასიათი, დამოკიდებულია იმაზე, თუ კომპეტენციითაა გამოცენის შესახებ რომელი დოქტრინაა გაბატონებული მოცემულ მომენტში. დიდი ხნის მანძილზე ფართო გავლენით სარგებლობდა ეწ. "დღიასტური ფედერალიზმის" თეორია, რომლის მიხედვითაც ფედერალურ ხელისუფლებას და შტატებს აქვთ თვითოვლს საკუთარი კომპეტენცია და არ ერევიან ერთმანეთის საქმეებში. ფედერალური ხელისუფლების და შტატების მოფრთხილების უფლებამოსილებები თეორიულად განსხვავებულია და პრაქტიკულად დაცობილია ერთმანეთისაგან. ცენტრალური ხელისუფლება მართავს მხოლოდ ჩამოთვლილი უფლებების მიხედვით და მას აქვს შესუფუძვლი კონსტიტუციური მიზნები.

მეორე მნიშვნელოვანი თეორიაა "კოორპერატიული ფედერალიზმის" თეორია, რომელიც სცნობს მთელი სახელმწიფო და შტატების ფუნქციების გადაჯვარებას და უარყოფს განცალკევებული სფეროების ანუ შრეების არსებობას. იგი დაფუძნებულია ცენტრის და შტატების ურთიერთშეჯახების და ურთიერთსელსაყრელი თანამშრომლობის იდეაზე. ამ ორი ხელისუფლების კომპეტენცია ამ დროს შერეულია, რადგანაც ისინი უფრო ხშირად ერთობლივად ახორციელებენ სამთავრობო ფუნქციებს, ვიდრე ცალკეულად.

არსებობს აგრეთვე სხვა მრავალი კონკეფციები, კერძოდ - "ცენტრალიზებული ფედერალიზმის," "ფისკალური ფედერალიზმის," "წარმოამდგენლობითი ფედერალიზმის" და ა.შ. უკანასკნელი არა ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაქონის "ახალი ფედერალიზმის" დოქტრინამ, რომელიც შტატების უფლებამოსილებების გაფართოებას ითვალისწინებდა.

ადგილობრივი თვითმმართველობა დიდ როლს თამაშობს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე მუნიციპალიტეტებს უწოდებენ "დემოკრატიის ანკლავებს" "ჩესტერბლოკებს მინიატურაში" რომლებიც თავიანთი დემოკრატიული სფეროთ უბრისპირდებიან ფედერაციის და შტატების მმართველობის ბიუროკრატიზირებულ ორგანოებს. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია "ცალკეული შტატების და შტატების შიგნით ცალკეული მუნიციპალიტეტების განსხვავებული მოთხოვნები და ტრადიციები ამტკაცებენ იმ პრინციპს, რომ ადგილობრივი თავისებურებების ცოდნა და სრული გაგება წარმატებული ადგილობრივი მმართველობის უკუთმბედია." თვითმმართველობის გადამწყვეტი ნიშანი არა ის, თუ როგორ აფასებს მას გარეშე პირი, არამედ, თუ როგორ აფასებს მას მოცემული ტერიტორიის მოსახლეობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნა და მათი კომპეტენციის განსაზღვრა, შტატების პაროგატივის წარმოადგენს. აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტების ტიპები და მათი უფლებამოსილებების მოცულობა განსხვავებულია სხვადასხვა შტატებში, მაგრამ არსებობს საერთო ტენდენციებიც. უკანასკნელ ხანებში აღიზიშნება ადგილობრივ ორგანოთა უფლებამოსილებების გაფართოება, თვითმმართველობის კონკეფციის მხარდაჭერის მიზნით. მრავალ შტატს თავის კონსტიტუციაში შეაქვს დებულებები თვითმმართველობის შესახებ. თვითმმართველობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების უფლებას, თვითონ აწარმოონ თავიანთი საქმეები - "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ განახორციელონ ადგილობრივი საქმეები შტატების მხრივ კონტილას ან ჩარევის გარეშე" კერძოდ, მათ აქვთ უფლება აკვეთ ადმინისტრაცია, აარჩიონ მმართველობის ტიპი დასახონ და განახორციელონ ადგილობრივი პროგრამები სხვადასხვა სფეროში. ამასთან მათი საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შტატის კონსტიტუციას და კანონმდებლობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები იცვლებიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, მაგრამ ყველაზე უფრო ტიპურად ითვლება შემდეგი უფლებამოსილებები:

- ბინათმშენებლობები, სასკოლო საქმე, დასვენების ზონები, მიბლიოთეკა, გამწვანება, საგზაო ტრანსპორტი, აეროპორტი, ხიდები;
 - პოლიცია, სახანძრო საქმე, სასწრაფო დახმარება, ცხენები, გამწვანები ნაგებობები, წყლით მოსარაფება, ნარჩენების გატანა და გადამუშავება, გარემოს დაცვა;
 - ყველა დონის არჩევნების ორგანიზება, გადასახადების შეგროვება, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტიუბის ჩაწერა;
 - მიწათსარგებლობაზე კონტროლი, დაგეგმვა, ზონირება, ისტორიული ძეგლების დაცვა;
 - სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრირება, მართვის მოწმობის გადაცემა, საგზაო მოსარაობების მართვა, ლიცენზიების გაცემა;
 - სოციალური სამსახურები, ჯანდაცვა, უმუშევრობის და მოსუცების დახმარება;
 - მუნიციპალიტეტის საქმიანობის ორგანიზება, ნორმატიული მოქმედებითი და სასამართლო საქმიანობა.
- ყოველ მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის შეკრების ძირითად წყაროს წარმოადგენს გადასახადები, ადგილობრივი მოსაკრებლები, ჯარიმების და ლიცენზიების გაცემის შედეგად მიღებული სასარგებო. ადგილობრივი ბიუჯეტში მილიანად ან ნაწილობრივ რჩება საკუთრებაზე გადასახადით სარგებლობა და ბრუნვის გადასახადით მიღებული თანხები აღსანიშნავია, რომ შტატების და მუნიციპალიტეტების ხვედრითი წილი საერთო ზარგებში შეადგენს 31%-ს, ხოლო ცენტრალური ხელისუფლებ-

ისა - 69%-ს. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ფედერალური ხელისუფლების და შტატების მიერ გადაცემული სუბსიდიები.

ავტონომიყავთა მსახვეთი

განსხვავებული ინტერესების მქონე ცენტრსა და პერიფერიებს შორის არსებული წინააღმდეგობები შოკთბრუნვის ისეთი სისტემის შექმნას, როდესაც ორივე მათგანს საშუალება ექნება მოახდინოს ამ ინტერესების რეალიზება, რათა თავიდან აიცილოს აცილებული მათ შორის არსებული წინააღმდეგობების შექმნა და გაქიანურებულ კონფლიქტებში გადაზრდა ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებას პოლიტიკური ავტონომიების სისტემის შექმნა წარმოადგენს, რაც რეალიზებულია ესპანეთში. კონსტიტუციით რეგიონებს უფლება აქვთ შექმნან ავტონომიური ერთეულები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ესპანეთი უნიტარული ქვეყანაა. ესპანური კონსტიტუციური სამართლის ცნობილი სპეციალისტი გალკანი აღნიშნავს: "ავტონომიური ერთეულების მქონე სახელმწიფო რჩება უნიტარულად; ქვეყნის მასშტაბით არსებობს ერთი სუვერენიტეტი, თუმცა ის აღარ არის უპარობო," რადგანაც სახელმწიფო სუვერენულ უფლებათა ნაწილი კონსტიტუციით გადაცემული აქვთ რეგიონებს. ავტონომია არის ქვეყანაში განსხვავებების, მონაწილეობის და პლურალიზმის დაცვის საშუალება.

ესპანეთში 17 ავტონომიური ერთეული არსებობს. აქედან ბასკონიას, კატალონიას, გალსიას და ანდალუზიას აქვთ უფრო მაღალი სტატუსი, რადგანაც აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არამართობისტირიულ-ტერიტორიული, არამედ ეროვნულ-ეთნიკური ფაქტორებიც და ამიტომ მათ ეროვნულ ავტონომიებს უწოდებენ. ეროვნულ ავტონომიებს აქვთ უფრო ფართო უფლებამოსილებები ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში, ფლობენ უფრო მეტ შესაძლებლობებს ეროვნული კულტურის და განათლების სფეროში. მათი ადმინისტრაციის მინორიკებს გააჩნიათ განსაკუთრებული სტატუსი. განსხვავებულია ეროვნული და ქვეყნებრივი ანუ "ისტორიული" ავტონომიების შექმნის პროცედურაც. ბირველ შემთხვევაში, ავტონომიის ძირითად დებულებას ანუ სტატუტს მხარი უნდა დაუჭიროს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების არანაკლებ 3/4 და მოსახლეობის უმრავლესობამ რეგიონალური რეფერენდუმზე. ამის შემდეგ ავტონომიის დებულებას ამტკიცებს ესპანეთის პარლამენტი ორივე პალატაში წევრთა უმრავლესობით, ხოლო ისტორიული ავტონომიის დებულებას მისაღებად საჭიროა მუნიციპალიტეტებს არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერა და რეგიონალური რეფერენდუმზე მოსახლეობის უმრავლესობის მიერ მოწონება.

ავტონომიზაცია გულისხმობს უფლებამოსილებების ფართო წრის გადაცემას ავტონომიური ერთეულებს. ისადმი კონსტიტუციაში ჩართული ანა ნორმათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ცენტრალური ხელისუფლების და რეგიონების უფლებებს, მათი კომპეტენციის კონკრეტულ შინაარსს და საზღვრებს. ცენტრს დარჩა სახელმწიფოს არსებობის და ფუნქციონირების ზოგადი პირობების რეგულირების უფლება, მსუხსმეველობა სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფაზე. ცენტრალური ხელისუფლებას ევალება ერთიანი თავდაცვითი, მაროეკონომიკური, საფინანსო და უმკალური პოლიტიკის გატარება, კონტროლი შრომით ურთიერთობებზე, სოცულზრუნველყოფა და ზანდაცვა, საგარეო პოლიტიკის და საგარეო-ეკონომიკური მოლაწვიომის წრმართვა.

ავტონომიებს გადაცემული აქვთ ფართო შესაძლებლობები თვითმმართველობის განსახორციელებლად, კერძოდ - ადგილობრივი ეკონომიკის რეგულირება, ბუნებით სარგებლობა, კომუნალური მეურნეობის, სოციალური სამსახურების მართვა, მშენებლობა, დასვენების და გართობის ღონისძიებების ორგანიზება. კონსტიტუცია უშვებს ავტონომიების დამოუკიდებელ მოლაწვიომას საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოცულზრუნველყოფა, ზანდაცვა და განათლება.

ესპანეთის კონსტიტუცია, განსხვავებით ფედერაციული სახელმწიფოების კონსტიტუციისაგან, ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლებებს შორის გამიჯნობას, უუსტად და ამომწურავად განსაზღვრავს არა ცენტრალური, არამედ ავტონომიური ერთეულების უფლებამოსილებებს ეს გამომდინარეობს ესპანეთის, როგორც უნიტარული სახელმწიფოს ხასიათიდან. ცენტრალური ხელისუფლება ახდენს თავისი უფლებამოსილებების განაზღვრული ნაწილის დელეგირებას რეგიონებზე, ხოლო კონსტიტუცია შეიცავს ხელისუფლების ასეთი გამიჯნვის გარანტიებს.

თუ როგორია ავტონომიების უფლებამოსილებების უუსტი ფარგლები, გავვიწყოთ კატალონიის მაგალურთხე კატალონია ეროვნული ავტონომიების რიცხვს მიეუთხებება და გააჩნია საკუთარი პარლამენტი და მთავრობა. კატალონიის ხელისუფლების ორგანოების ანუ ეგზერალიტეტის კომპეტენციის უუსტი მოცულობა განსაზღვრულია რეგიონის დებულებით კატალონიის დებულებას I თავის IX მუხლის თანახმად, ეგზერალიტეტს აქვს განსაკუთრებული უფლება შემდეგ სფეროებში:

- დებულების შესაბამისად, საკუთარი თვითმმართველობის ინსტიტუტების ორგანიზება; კატალონური სამოქალაქო სამართლით, პროცესუალური ნორმები და ადმინისტრაციული პროცედურა.

- კულტურა, ისტორიული და არქიტექტურული ფასეულობები, არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, რომლებიც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არ იმყოფებიან;

მიწების და სანაპიროების მართვა, ჯალაქმოწყობა, საცხოვრებელი სახლები, ტყით სარგებლობა;

- რეგიონალური გზები, რკინიგზის სადგურები, ტრანსპორტი, აერობორტები და პორტები, მეტეოროლოგიური სამსახურები;

- შიდა წყლის რესურსები, სახალხო რეწვა, თევზჭერა და ნადირობა;

- კოოპერატივები, ქიმიკატივები, სავაჭრო და სამრეწველო პალატები;

- სოციალური დახმარება, ახალგაზრდობის დახმარება, დასვენება და სპორტი, ტურიზმი, სანაპიროები, კაზინო, თამაშები, მკერეწლოვანებზე ზედამხედველობა, საზოგადოებრივ ორგანიზაციას რეგულირება, ადგილობრივი სტატისტიკა.

ამის გარდა, ავტონომიის კომპეტენციაში შედის სახელმწიფო კანონმდებლობის აღსრულება სახელმწიფოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში.

დებულება შეიცავს ცენტრალური ხელისუფლების და რეგიონის ხელისუფლებითი ურთიერთობების დაწესებულებით რეგლამენტაციას და ზუსტად აღგენს იმ მიზნებს, რომელზედაც გადის მათ შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა.

ეროვნული მთლიანობის და სისტემის ერთგვაროვნების დაცვის მიზნით კონსტიტუცია მოითხოვს, რომ ავტონომიების სტატუსი არ ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. ავტონომიებმა უნდა უზრუნველყონ ხელისუფლების დაყოფის პრინციპზე დაფუძნებული დემოკრატიული რეჟიმის უზრუნველყოფა. ავტონომიებმა უნდა შეასრულონ კონსტიტუციით განსაზღვრული ვალდებულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტიტუციის თანახმად მთავრობას სქესტის თანხმობით შეუძლია, აიძულოს ავტონომიებს მათი მოვალეობების შესრულება.

კომპეტენციების გაშიჯვნა ფედერაციას, მიწასა და კომუნებს შორის ავსტრიაში ფედერალური კონსტიტუციის მიხედვით

ავსტრია ერთერთი ყველაზე პატარა ფედერალური სახელმწიფოა. მის შემადგენლობაშია ფედერაციის ცხრა სუბიექტი - მიწები. ავსტრია მონობაციონალური სახელმწიფოა, ამიტომ ფედერაცია შექმნილია ტერიტორიული ნიშნის მიხედვით და წარმოადგენს სიმეტრიულ ფედერაციას.

ჭეფანაში სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას არეგულირებს 1920 წელს მიღებული ფედერალური კონსტიტუციური კანონი. იგი მიჯნავს კომპეტენციას ფედერაციას და მიწებს შორის, განსაზღვრავს ფედერალური სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებებს

და სისტემას. კონსტიტუციის სპეციალური თავი ეხება მიწებში და კომუნებში ხელისუფლების და მმართველობის ორგანოს ორგანიზაციას, რითაც იგი განსხვავდება სხვა დასავლური ფედერაციების კონსტიტუციებისაგან, სადაც ფედერაციის წევრთა შიდა ორგანიზაციის რეგულირება მიეკუთვნება მათ საკუთარ კომპეტენციას.

ფედერალური ხელისუფლების ფართო უფლებამოსილებები სახელმწიფო სამართლის სპეციალისტების უმრავლესობას საშუალებას აძლევს ამტკიცონ, რომ ავსტრია არის სახელმწიფო, სადაც სუსტად არის გამოსახული ფედერალიზმის კონტურები და ძლიერია ტენდენცია უნიტარიზმისკენ.

ავსტრიის საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება ეროვნული საბჭოსა და ფედერაციის საბჭოს მიერ ერთობლივად ეროვნული საბჭო აირჩევა პარლამირი არჩევნების საფუძველზე მთელი ხალხის მიერ, ხოლო ფედერაციის საბჭოს ირჩევენ მიწების საკანონმდებლო ორგანოები-ლანდტაგები თავიანთი უფლებამოსილებების ვადით, ყოველ მიწას აქვს ადგილი ფედერალურ საბჭოში, რაც მათ საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ფედერაციის საქმეთა მართვაში.

ფედერაციის აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს ფედერალური პრეზიდენტი და ფედერალური მთავრობა. სასამართლო ხელისუფლება გამოწინააღმდეგებს ფედერაციისაგან. სასამართლო განაჩენები და გადაწყვეტილებები გამოითინება ავსტრიის რესპუბლიკის სახელით.

მიწებში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ ადგილობრივი პარლამენტები - ლანდტაგები. მათ მიერ მიღებული კანონები მათ გამოქვეყნებამდე უნდა წარედგინოს ფედერალური მთავრობის, რომელსაც აქვს უფლება მ კვირის განმავლობაში დაადოს მას ვეტო თუ ჩაივლის რომ იგი ღაზავს ფედერაციის კომპეტენციას. ვეტოს დაძლევა ლანდტაგს შეუძლია მხოლოდ კვალიფიციური უმრავლესობით.

ლანდტაგი ფედერალური მთავრობის წარდგინებით შეიძლება დათხოვნილ იქნეს ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში სამი კვირის განმავლობაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

მიწებში აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მიწის მთავრობას, რომელსაც მეთაურობს გუბერნატორი. თანამდებობის დაკავებისას გუბერნატორი დებს ფედერალური კონსტიტუციის ერთგულების ფიცს ფედერალური პრეზიდენტის წინაშე.

კონსტიტუციის 22-ე მუხლის შესაბამისად ფედერაციის, მიწის და კომუნების ორგანოები კანონით

მართვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან აღმოუჩინონ ერთმანეთს დახმარება. ამასთან ფედერაციას და მიწებს შეუძლიათ დადონ ერთმანეთის შორის შეთანხმებები მათი კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებზე. მიწებს შორის დადებული ხელშეკრულებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცხობას ფედერალურ მთავრობას. ეს დებულებები აძლიერებენ სახელმწიფოს ერთიანობას და ფედერაციასა და მის წევრებს შორის კოაპერაციას.

კონსტიტუცია მიიწვევს ფედერაციის და მიწების უფლებამოსილებებს. იგი ითვალისწინებს მიწების კომპეტენციის ზოგად პრინციპებს. "თუ რომელიმე საკითხი კონსტიტუციის თანახმად არ მიეკუთვნება ფედერაციის კომპეტენციას საკანონმდებლო და აღმასრულებელ სფეროში. მაშინ იგი მიწების საკუთარი კომპეტენციის სფეროს გახეუთვნება" - მ.15.11. ამის გვერდით კონსტიტუციაში მოცემულია უფლებამოსილებათა განიჭების ოთხი ვარიანტი:

I. ფედერაციის განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებზე:

- ა) ფედერალური კონსტიტუცია, ეროვნული კრების არჩევნები;
- ბ) საგარეო ურთიერთობა;
- გ) ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის რეგულირება, ემიგრაცია და იმიგრაცია, საპასპორტო საქმე, გასახლება, უცხოეთის სახელმწიფოთათვის პირთა გადაყვანა;

დ) სახელმწიფო ფინანსები, სახელმწიფო ვადასახადები, უფულო მიმოქცევა, საკრედიტო, საბანკო და საბარეო საქმე, ზომის და წონის ერთეულები, სტანდარტები და ნიშნები;

ე) საბოკალაქო სამართალი, სისხლის სამართლებრივი რეგულირება, იუსტიცია, პენიტენციარული დაწესებულებები, აღმინისტრაციული სამართალი, საფუტორო სამართალი, ადვოკატთა, ნოტარიუსთა და სხვა მონათესავე პროფესიითა საქმიანობის რეგულირება; ვ) საზოგადოებრივი სიმშვიდის, წესრიგის და უშიშროების უზრუნველყოფა ადგილობრივი პოლიციის გამოკლებით, შეკრებებისა და გაერთიანებების რეგულირება მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაცია პოლიცია უცხოელთა საკითხებზე, იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები;

ზ) მრეწველობა და რეწვა, ანტიმონოპოლური კანონმდებლობა, საპატენტო და საინჟინრო საქმეები;

თ) ფედერალური ტრანსპორტი, ფოსტა-ტელეგრაფი;

ი) საშოო საქმე, სატყო მეურნეობა, ენერჯეტიკის რეგულირება, გეოდეზია;

კ) შრომის სამართალი;

ლ) ჯანდაცვა ამ სფეროში მიწის კომპეტენციას

მიეკუთვნებული საკითხების გამოკლებით;

მ) ფედერალური სამეცნიერო და სპეციალურ-ტექნიკური საარქივო და საბიბლიოთეკო საქმეები, მოსახლეობის აღწერა და ფედერალური სტატისტიკა;

ნ) ფედერალური პოლიცია და ჯანდაცვა;

ო) საშენობო საკითხები;

პ) ფედერალურ ორგანოთა შექმნა, ფედერალური სახელმწიფო სამსახურის სამართალი.

ფედერაცია მიწებში თავის აღმასრულებელ საქმიანობას ახორციელებს მიწის გუბერნატორის და მასზე დაქვემდებარებული ორგანოების მეშვეობით (არამირდაპირი ფედერალური მართვა). გარდა ამ შემთხვევისა, როდესაც მიწებში შექმნილია საკუთრივ ფედერაციის ორგანოები (მირდაპირი ფედერალური მართვა) ფედერალურ ორგანოებს უფლება აქვთ უშუალოდ განახორციელონ მმართველობა მიწებში. მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელია მიმართაც ფედერაციას აქვს უფლება განახორციელოს აღმასრულებელი საქმიანობა.

II. საკანონმდებლო საქმიანობა მიეკუთვნება ფედერაციის კომპეტენციას, ხოლო აღმასრულებელი - მიწებს, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით - მოქალაქეობა და კომუნის წევრობის რეგულირება, პროფესიული წარმომადგენლობა, საბინაო უზრუნველყოფა, საგზაო პოლიცია, სანიტარულ ჰიგიენური ღონისძიებები, გემთნიმოსვლა შიდა წყლებში.

III. ფედერაციის კომპეტენციაში შედის კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, ხოლო მიწების კომპეტენციაში მაკონკრეტებული კანონების გამოცემა და აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებზე - დემოგრაფიული პოლიტიკა, დედათა, ბავშვების და მოზარდთა სოციალური უზრუნველყოფა, კურორტებისადმი სანიტარული და სხვა სახის მოთხოვნების დადგენა, სამეურვეო დაწესებულებები, დაქვების არასამართლო შეამჯავლობის საჯარო დაწესებულებები, მცენარეუთა დაცვა, მიწის რეკლამა, შრომის სამართლის ნაწილი, ელექტროენერგეტიკა.

ამ დროს ფედერალური ხელისუფლება ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა გამოიყენოს მაკონკრეტებული კანონები მიწებში, თუ იგი ამ ვადაში არ გამოიყენა, მაშინ ფედერაცია თვითონ არეგულირებს მას თავისი კანონით მანამდე, სანამ მიწა არ გამოიყენოს შესაბამის კანონს.

IV. საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა განეუფლება მიწების განსაკუთრებულ გამგებლობას. ზემოთხსენები მიწების კომპეტენციის ზოგად პრინციპების გამო კონსტიტუცია არ შეიცავს იმ საკითხთა ჩამოთვლას, რაც მიწების უფლებამოსილებებს განეუფლება.

სხვა ფედერაციულ სახელმწიფოთა კონსტიტუციუ-

ბისაგან განსხვავებით ავსტრიის კონსტიტუცია არეგულირებს კომუნების სტატუსს, განსაზღვრავს მათ კომპეტენციას, მათი ორგანოთა შექმნის და საქმიანობის ზოგად დებულებებს.

მიწები ფედერალური კონსტიტუციის შესაბამისად იღუფან კომუნებად ტერიტორიის ნებისმიერი მონაკვეთი აღიარებულად უნდა შეეუფლებოდეს რომელიმე კომუნას. კომუნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია და სარგებლობს თვითმმართველობის უფლებით. კომუნის წარმომადგენლობითი ორგანოა მოსახლეობის მიერ არჩეული კომუნის საბჭო, ხოლო აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენს კომუნის გამგეობა და ბუღალტერი. კომუნის კომპეტენციის სფეროს შეადგენს მისი საკუთარი უფლებამოსილებები და უფლებამოსილებები, რომლებიც მათ გადაცემული აქვთ ფედერაციის ან მიწების მიერ.

მიწების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები: კომუნალური ორგანოების შექმნა, შიდა სტრუქტურის რეგულირება, კომუნის მონაშახურეთა დანიშნვა, ადგილობრივი პოლიცია, შიდა საკომუნო სატრანსპორტო გზების მართვა, ადგილობრივი საგზაო პოლიცია, ადგილობრივი სავარგულების განკარგვა, ადგილობრივი ბაზრების რეგულირება, განდევნის ადგილობრივი პოლიცია, სასწრაფო დახმარების და სამაშველო სამსახურები, ზნეობრივი პოლიცია, ადგილობრივი სამშენებლო პოლიცია, სახანძრო სამსახური, ადგილობრივი ტერიტორიების დაცემა, დავის არასასამართლო შესამავლობის ააგარო დაწესებულებები, მოძრავი ქონების აღუქობების ორგანიზება.

კომუნა დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულია. მას გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, კომუნალური ქონების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება, ადგილობრივი გადასახადების დაწესების და აკრუფვის უფლება.

